მეორე მატჩი “ოლიმპიასთან”

გუშინ გაიმართა მეორე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი თბილისის “დინამოსა” და იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანის “ოლიმპიას” ფეხბურთელთა შორის. თამაში შედგა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონზე.

მასპინძლებმა საგრძნობი უპირატესობით ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:2 (2:1). თბილისელებიდან ბურთები გაიტანეს ცაავამ, მახარაძემ, ჟორჟიკაშვილმა, ჭილაიამ, გოგრიჭიანმა და კაკილაშვილმა, ხოლო სტუმართაგან – როჟიჩმა და კატანეცმა.

“დინამოს” შემადგენლობა: ქანთარია, სვანაძე, ჭილაია, თევზაძე, არზიანი, კაკილაშვილი, სიჭინავა, მახარაძე, გოგრიჭიანი, ცაავა, ჟორჟიკაშვილი. მეორე ტაიმში შემცვლელებად გამოვიდნენ ბალაძე, ჩიქოვანი, პაიკიძე, უკლება, კოჩკიანი. მატჩი იმსაჯა თბილისელმა ნ. ამირეჯიბმა.

ლელო 1 თებერვალი, 1984 წ.